საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს
გენერალური დირექტორი

KA990184266565218

№02/51 **12 / სექტემბერი / 2018 წ.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საგანმანათლებლო პროგრამების, მომსახურების სერვისებისა და სააგენტოს მიერ მომზადებული (გამოცემული) პროდუქციის სარეალიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2015 წლის 03 თებერვლის N05/11 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-5 მუხლის “ვ” ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ, მისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამების, მომსახურების სერვისებისა და სააგენტოს მიერ მომზადებული (გამოცემული) და ან მისთვის გადაცემული პროდუქციის სარეალიზაციო საფასურის განსაზღვრის მიზნით, დამტკიცდეს:

1. სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული დამატებითი მომსახურების საფასური დანართი N1-ის შესაბამისად;

2. სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული და/ან მისთვის გადაცემული გამოცემების სარეალიზაციო ფასი დანართი N2-ის შესაბამისად.

3. სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დამზადებული და/ან მისთვის გადაცემული პროდუქციის სარეალიზაციო ფასი დანართი N3-ის შესაბამისად.

4. ამ ბრძნების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საგანმანათლებლო პროგრამების, მომსახურების სერვისებისა და სააგენტოს მიერ მომზადებული (გამოცემული) პროდუქციის სარეალიზაციო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის N02/6 ბრძანება.

5. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ანთიძე